საიდ. №55429/03
IR1013882

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 1246

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, ი. მუღალაშვილი, ქ. კილაძის მდივნობით, განიხილა შპს „ეი-ბი-სი ფარმაცია” (საქართველო) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის თავმჯდომარის 2010 წლის 28 ოქტომბრის №01-03/809 აქტის ბათილად ცნობა. აქტზე თანდართული სახელმწიფო ექსპერტიზის გადაწყვეტილებით კომპანია „რიხტერ გედეონ ნირტ” (უნგრეთი) სახელზე დარეგისტრირებულ იქნა სასაქონლო ნიშანი „АИРИНН” (IR1013882) მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა აპელანტის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი, პატენტრწმუნებული გიორგი თაქთაქიშვილი არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ აღნიშნული აქტი უნდა იქნას ბათილად ცნობილი, რადგან აღნიშნული საერთაშორისო ნიშანი აღრევამდე მსგავსია „შერინგ კორპორეიშენის” სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „AFRIN” (რეგ. №11749, თარიღი: 18.03.1999 წ.) მე-5 კლასის მსგავსი ჩამონათვლის მიმართ, რაც თაქთაქიშვილის აზრით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად

წარმოადგენს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

აპელანტის წარმომადგენლის აზრით, ნიშნები „АИРИНН” და „AFRIN” იმდენად მსგავსია ჟღერადობით, რომ ერთ სასაქონლო ბაზარზე ნიშნების არსებობის შემთხვევაში აუცილებლად მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. კერძოდ, ნიშნებში განსხვავდება მხოლოდ მეორე ასოები „И” და „F”, რაც ნიშნებს არ სძენს საკმარის განმასხვავებელობას და ქართულად ისისნი ძალიან მსგავსად გამოითქმის „აირინი” და „აფრინი”. იმის გათვალისიწნებით, რომ ორივე ნიშანი რეგისტრირებულია ფარმაცევტული პრეპარატებისათვის, რომელსაც მომმხარებელი არ ირჩევს თვითონ დახლზე, არამედ მისი ყიდვის დროს მას უწევს პრეპარატის სახლწოდების წარმოთქმა, ადვილი შესაძლებელია, რომ მომხმარებელი შეცდეს და ნაცვლად „აირინისა” წარმოათქვას „აფრინი” და პირიქით, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას და მძიმე შედეგამდე მივიდეს. შესაბამისად, ფარამაცევტული პრეპარატების სახელწოდების რეგისტრაციისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან მომხმარებელმა სახელწოდებების მსგავსების გამო არ იყიდოს სხვა დანიშნულების წამალი.

ამასთან, 2009 წლის 7 ივლისს, საქპატენტის ექსპერტიზამ გამოიტან უარყოფითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „AERIN” (საიდ. №51027/03) რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის მიმართ, იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მსგავსი იყო კომპანიის „შერინგ კორპორეიშენის” კუთვნილი ნიშნისა „AFRIN” (რეგ. №11749, თარიღი: 18.03.1999 წ.) მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლის მიმართ. შესაბამისად, თაქთაქიშვილი გაუგებრად მიიჩნევს, თუ რატომ იქნა მიჩნეული „აფრინი” და „აერინი” მსგავს ნიშნებად და „აფრინი” და „აირინი” განსხვავებულად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თაქთაქიშვილი ითხოვს საქპატენტის თავმჯდომარის აქტის ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „АИРИНН” (IR1013882) საქართველოში დაცვის მინიჭებაზე უარის თქმას.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ბიურიში შეტყობინების დადგენილი წესით შეტყობინების დადგენილი წესით გაგზავნის მიუხედავად, სააპელაციო საჩივრის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია კომპანის „რიხტერ გედეონ ნირტ” წარმომადგენელს.

კოლეგიამ განიხილა რა სააპელაციო საჩივარი მიიჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „АИРИНН” და კომპანია „შერინგ კორპორეიშენის” სახელზე რეგისტრირებული ნიშანი „AFRIN” განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. განცხადებული ნიშანი შედგება 6 კირილიცას ანბანის ასომთავრული შრიფტით შესრულებული ასოსაგან. ხოლო ნიშანი „AFRIN” წარმოადგენს 5 ასოსაგან შემდგარ სიტყვას და შესრულებულია ლათინური ანბანის შრიფტით. რაც შეეხება ნიშნების ფონეტიკას, ისინი ასევე განსხვავებულია, ერთი გამოითქმის როგორც „აირინი”, ხოლო მეორე კი „აფრინი”.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ ასევე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აღნიშნული ნიშნები დაიცვება ფარმაცევტული პრეპარატებისათვის რომელთა დანიშვნა, როგორც წესი, ხდება ექიმის მიერ და მომხმარებელმა იცის, თუ რომელი პრეპარატი ესაჭიროება, იცის ამ პრეპარატის წარმოშობის წყარო და შეძენისას იჩენს განსაკუთრებულ სიფრთხილეს.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” პუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ეი-ბი-სი ფარმაციას” სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფიდლეს.
2. ძალაში დარჩეს საქპატენტის თავმჯდომარის 2010 წლის 28 ოქტომბრის №01-03/809 აქტი.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	ე. ქემაშვილი
	ი. მუღალაშვილი